

საწარმოების პირისპირ - რუსთავში ქარხნების სიახლოვეს მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კვლევას, რომელშიც გაანალიზებულია რუსთავში საწარმოთა საქმიანობის ზეგავლენა ქალების ცხოვრებაზე. ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები თვითმმართველობის, ცენტრალური ხელისუფლებისა და მსხვილი საწარმოების მიმართ, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

დოკუმენტი მოამზადა ააიპ „ქვემო ქართლის მედია“ პროექტის – „რუსთავში, მსხვილი საწარმოების სიახლოვეს მცხოვრები ქალების საჭიროებების კვლევის“ ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდაჭერია „ქალთა ფონდი საქართველოში“.

კვლევის ავტორების მიერ წარმოდგენილი ხედვა და მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ააიპ „ქვემო ქართლის მედია“.

კვლევის ავტორები: **ქეთევან მურღულია, მანონ ბოკუჩავა**

თარგმანი: ნათია დავითაშვილი

გრაფიკული დიზაინერი: სოფია ბერიძე-სტავროვინა

სარჩევი

შესავალი	3
1. მეთოდოლოგიური ჩარჩო	5
2. სიღრმისეული ინტერვიუები ეკო აქტივისტებთან (მონაცემების ანალიზი)	8
3. სიღრმისეული ინტერვიუები რუსთავის საწარმოების სიახლოვეს მცხოვრებ ქალებთან (მონაცემების ანალიზი)	11
4. საწარმოების სოციალური პასუხისმგებლობა	16
5. სახელმწიფო უწყებების მიერ საწარმოთა მუშაობაში აღმოჩენილი დარღვევები	19

შესავალი

რუსთავში ათობით მსხვილი და საშუალო საწარმო მუშაობს.¹ ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ მოსახლეობის ძირითად დამსაქმებელს – მოქალაქეებს უზრუნველყოფენ მეტ-ნაკლებად სტაბილური შემოსავლით, მეორე მხრივ კი – ქალაქში გარემოს მთავარ დამაბინძურებლებს. გარემოზე მიყენებული ზიანი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე – თავს იჩენს სხვადასხვა ტიპის ეკოლოგიური პრობლემა, რომლებიც უარყოფითად აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზე.

ჰაერის ხარისხს გარემოს ეროვნული სააგენტო აკონტროლებს და უკვე არაერთხელ დაფიქსირდა რუსთავის ჰაერში მყარი ნაწილაკების მატება. მაგალითად, გასული წლის ბოლოს, 23 და 24 დეკემბერს, რუსთავის ატმოსფერულ ჰაერში მყარი ნაწილაკების კონცენტრაციამ რეკორდულად მაღალ ნიშნულს – დაახლოებით, 305 მიკროგრამს – მიაღწია მაშინ, როცა დასაშვები მაქსიმალური ზღვარი 50-ია. რუსთავში ჰაერის დაბინძურების ახალი, ცხადია, ნეგატიური რეკორდი დაფიქსირდა მიმდინარე წლის [2020] 6 მარტსაც. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ვებპორტალის ცნობით, რუსთავში ჰაერის დაბინძურებამ 75%-იან ნიშნულს მიაღწია. ჰაერის დაბინძურების ყველაზე მაღალი პარამეტრი და პროცენტული წილი ჯანმრთელობისთვის ყველაზე საშიშ მტერის მყარ ნაწილაკებზე – PM10-სა და PM2.5-ზე ნაწილდებოდა.²

ამ დროისთვის დაბინძურების მთავარ წყაროდ რჩება ქალაქში არსებული მსხვილი საწარმოები. მათთან ახლო არეალში მცხოვრებ მოსახლეობასთან ჩატარებული სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ ადგილობრივ დასახლებაში არაერთი სოციალური პრობლემა [დაავადებების გახშირება, შიდა მიგრაცია] და რესურსებზე არათანაბარი წვდომა ხშირ შემთხვევაში სწორედ საწარმოების მუშაობის შედეგია. აღნიშნული უარყოფითად აისახება როგორც გარემოზე, ასევე, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.³ ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარებული კვლევებით⁴ ასევე დასტურდება, რომ საწარმოები არღვევენ სახელმწიფოს მიერ მათთვის დაწესებულ სტანდარტებს, რითაც ზიანს აყენებენ გარემოს. წლების განმავლობაში მოსახლეობა ორგანიზებულად არ გამოხატავდა საწარმოების მავნე ზეგავლენაზე პროტესტს, თუმცა დღეისათვის რუსთავში აღნიშნულ საკითხზე აქტიურად მუშაობენ სამოქალაქო აქტივისტები, რომლებმაც შექმნეს პლატფორმა „გავიგუდეთ.“

¹თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი პროგრამა სტრატეგია (2013-2017), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e256Ht>

²ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია, 6 მარტი 2020, „ახალი რეკორდი რუსთავში ჰაერის დაბინძურებამ 75%-ს მიაღწია“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dTByvj>

³Kitula, A. G. N. 2006. The environmental and socio-economic impacts of mining on local livelihoods in Tanzania: A case study of Geita District. Journal of cleaner production :<https://bit.ly/2x3S8bn>

⁴Felix-Henningsen, P., Urushadze, T. F., Narimanidze, E. I., Wichmann, L., Steffens, D., & Kalandadze, B. B. (2007). Heavy metal pollution of soils and food crops due to mining wastes in the Mashavera River Valley : <https://bit.ly/2JJGi8>

სოციოლოგიური კვლევა ფოკუსირებულია რუსთავში საწარმოთა ახლო არეალში მცხოვრები ქალების პრობლემების იდენტიფიცირებაზე. გარდა ამისა, საკვლევ საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად უმკლავდებიან ქალები არსებულ სოციალურ თუ ეკონომიკურ სირთულეებს, რომელთა წინაშეც აყენებს მათ საწარმოთა საქმიანობის შედეგად დაბინძურებული გარემო.

კვლევა მიმოიხილავს შემდეგ საკითხებს: საწარმოთა მიერ გარემოს დაბინძურების ფაქტების ასახვას და მისით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირებას მოსახლეობაში. ასევე, გაანალიზებულია ჯანმრთელობის საკითხები, მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობა და სოციალური ცვლილებები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება საწარმოთა საქმიანობას. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია საწარმოთა სოციალურ პასუხისმგებლობაზე და რესპონდენტთა შეფასებებზე დაყრდნობით, შემუშავებულია რეკომენდაციები როგორც საწარმოების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისთვისაც.

ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრება არის ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება. შესაბამისად, ამ უფლების დაცვის უზრუნველყოფა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთგვარი წინაპირობაა. მიმდინარე კვლევის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს გარემოსდაცვითი პოლიტიკის შეფასება და ჯანმრთელობის საკითხების მოგვარების სახელმწიფო ხედვის განსაზღვრა. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მოქალაქეებისათვის ინფორმაციის ნაკლებობა საწარმოთა საქმიანობის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობასა თუ გარემოზე მიყენებული ზარალის შესახებ. ასევე, ბუნდოვანია საწარმოთა გარემოსდაცვითი თუ სოციალური პასუხისმგებლობის გარშემო არსებული სამოქმედო გეგმები. არც საჯარო უწყებებისა და არც კომპანიების ვებ-გვერდებზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს საწარმოების საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოქალაქე პრობლემური საკითხის მოგვარებისათვის; ვის უნდა მიმართოს საწარმოს საქმიანობის შედეგად დაზარალების შემთხვევაში.⁴

⁴ „მწვანე ალტერნატივა“, „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში“, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/zujFSzr>



1. მეთოდოლოგიური ჩარჩო

კვლევის ძირითადი მიზანია რუსეთში ქალების ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე მათ სიახლოვეს არსებული მსხვილი საწარმოების ზემოქმედების შესწავლა. შესაბამისად, კვლევის ამოცანას წარმოადგენს, ერთი მხრივ, საწარმოების სოციალური ზემოქმედების განსაზღვრა მოსახლეობაზე, ხოლო მეორე მხრივ, ქალების საჭიროებების გამოკვეთა, რაც თანხვედრაშია გარემოს დაცვით საკითხებთან. გარდა ამისა, კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა თვითმმართველობის პასუხისმგებლობის გაზრდა გარემოსდაცვით საკითხებზე და ჯანსაღი, ღია დისკუსიის ხელშეწყობა.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდი. ჩვენმა ორგანიზაციამ სიღრმისეული ინტერვიუები ჩაატარა სამოქალაქო აქტივისტების ჯგუფ „გავიგუდეს“ წევრებთან. სწორედ „გავიგუდე“ წარმოადგენს იმ პლატფორმას, რომელიც ეწევა გარემოს სისტემატურ მონიტორინგს და ავრცელებს ინფორმაციას

ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით. ასევე აქტივისტების საწარმოების მუშაობის ფოტო/ვიდეო დოკუმენტირებას. მიმდინარე ინტერვიუები „გავიგუდეს“ სამ აქტიურ წევრ ქალთან, იყო არასტრუქტურირებული და რესპონდენტები თავადვე საუბრობდნენ თავიანთი მუშაობის ძირითად ასპექტებზე, იდეოლოგიასა თუ გარემოს დაცვით შეხედულებებზე. არსებული სოციოლოგიური მიდგომა ითვალისწინებს ინტერვიუერის მხოლოდ საჭიროებისამებრ ჩართვას ინტერვიუს პროცესში, ისიც მხოლოდ მიმართულების მისაცემად და ამით რესპონდენტს ეძლევა შესაძლებლობა, თავისუფლად საუბრის.⁶

აქტივისტებთან ერთად კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ საწარმოების სიახლოვეს მცხოვრები ქალები. რესპონდენტებად შეირჩა საწარმოების სიახლოვეს⁷ მცხოვრები 17 ქალი. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2020 წლის მარტის დასაწყისში.



წყარო: სამოქალაქო აქტივისტთა პლატფორმა „გავიგუდეთ“, საწარმო „ჯეოსთილი“

⁶ თინათინ ზურაბიშვილი, თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, სოციალურ მეცნიერებათა სერია (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006)

⁷ „ჯეოსთილი“ – დასახლებულ ტერიტორიებთან ერთ-ერთი ყველაზე ახლომდებარე საწარმო.



კვლევისთვის ლოკაციის განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვანი იყო, ერთი მხრივ, მსხვილ საწარმოებთან სიახლოვე, მეორე მხრივ კი, გარემოს დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი. კვლევის ლოკაციად განისაზღვრა დასახლებული პუნქტები, რათა უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო საწარმოების საქმიანობის ზეგავლენა მოსახლეობასა და გარემოზე. გარდა ამისა, კვლევამ მოიცვა საწარმოების გარშემო არსებული განსხვავებული არეალები, მკვლევრებისთვის სრული სურათის შესაქმნელად ადგილობრივი მოსახლეობის ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

სიღრმისეული ინტერვიუები პირდაპირი კომუნიკაციით ჩატარდა 5

რესპონდენტთან, რომლებიც ცხოვრობენ მსხვილი საწარმოების სიახლოვეს, დ.გარეჯისა და ნ. დუმბაძის ქუჩებზე, ხოლო დანარჩენი 12 ინტერვიუ ჩაიწერა ონლაინრეჟიმში, COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობა 35-45 წუთს შეადგენდა. თითოეულ რესპონდენტს თავიდანვე განემარტა პროექტის მიზანი და ამოცანები. ინტერვიუები გაანალიზდა რესპონდენტთა მიერ აღქმული რეალობისა და პირადი გამოცდილების კონტექსტის შესწავლით. კვლევის ფარგლებში მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შემდეგი მიდგომა:

- რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- საწარმოების სიახლოვეს არსებული გარემოს მონიტორინგი;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურიდან;
- სამოქალაქო აქტივისტებისა და მედიასაშუალებების მიერ გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალის ანალიზი.

ანგარიშის შესავალში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო და იდენტიფიცირებულია საწარმოთა ზეგავლენა გარემოსა და ქალების

ჯანმრთელობაზე. კვლევის დასკვნით ნაწილში კი შეჯამებულია ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.



კვლევის მიგნებები:

- **საწარმოთა საქმიანობის უარყოფითი გავლენა გარემოზე** – რესპონდენტები ჰაერის დაბინძურების მთავარ წყაროდ ქალაქში არსებულ საწარმოებს ასახელებენ. მათი ნაწილი აცხადებს, რომ საწარმოები უფრო მეტი დატვირთვით მუშაობენ ღამით, როდესაც შედარებით რთული შესამჩნევია გამონაბოლქვი; ამიტომ მოითხოვენ საწარმოების მუშაობის მონიტორინგს ღამითაც, რაც, მათი აზრით, უფრო ნათლად წარმოაჩენს მავნე ზემოქმედებას გარემოზე.
- **საწარმოთა საქმიანობის უარყოფითი გავლენა ჯანმრთელობაზე** – რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ აწუხებთ საწარმოო მტვერი-გამონაბოლქვი, რაც საწარმოების მუშაობის შედეგია და მძიმედ აისახება მათ ჯანმრთელობაზე. აღნიშნავენ, რომ ხშირად აწუხებთ თვალების წვა, მშრალი ხველა და ჰაერის უკმარისობის შეგრძნება. ასევე, შიშობენ განხირებული ონკოლოგიური დაავადებების გამო, რასაც, აგრეთვე, უკავშირებენ საწარმოთა საქმიანობას. რესპონდენტთა უმრავლესობა უჩივის სუსტ იმუნიტეტსა და შეძენილ ალერგიულ დაავადებებს.
- **გენდერული ნიშნით მოწყვლადობა** – საწარმოებისგან მიყენებული ზიანი მძიმედ აისახება ქალების ცხოვრებაზე. მათთვის განსაკუთრებით რთულია მავნე გარემო პირობებთან გამკლავება, საჭირო ფინანსების უქონლობა კი ხელს უშლის, პერიოდულად გადაიმოწმონ ჯანმრთელობის მდგომარეობა და გააკონტროლონ, საწარმოების ქიმიური გამონაბოლქვი, დაბინძურებული ჰაერი როგორ აისახება მათ ჯანმრთელობაზე.
- **საწარმოთა სოციალური ზემოქმედების ნეგატიური ასპექტები** – როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, ხშირ შემთხვევაში საწარმოები დასაქმების ერთადერთ სფეროს წარმოადგენენ, ალტერნატივის არარსებობა კი ერთგვარი დემოტივაციაა მოსახლებისთვის ეკოაქტივიზმში ჩართვის კუთხით. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში საწარმოთა დასაქმების პოლიტიკაში იკვეთება ისეთი მძიმე სოციალური პრობლემები, როგორცაა: არასათანადო სამუშაო სივრცე, დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევა, პროფესიული დაავადებების მაღალი რისკი და სამუშაო ადგილების დაკარგვით მუდმივი მანიპულირება, დამსაქმებელთა მხრიდან პროტესტის ჩახშობის მიზნით.
- **სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობა და კონტროლის მექანიზმი** – რესპონდენტები მოითხოვენ, სახელმწიფომ გაამკაცროს კონტროლი საწარმოების მიმართ და შეიმუშაოს მონიტორინგისა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი.



ეკო აქტივისტების რეკომენდაციები:

- უფრო მკაცრი და მოქნილი გახდეს საწარმოების საქმიანობის კონტროლი;
- მოწესრიგდეს საწარმოების ფილტრების სისტემა;
- აღმოიფხვრას ე.წ უკონტროლო გაფრქვევა – პროცესი, როდესაც გამონაბოლქვი მილების/ფილტრების ნაცვლად საწარმოების შენობების კედლებიდან გამოდის;
- ყოველდღიურ რეჟიმში დასუფთავდეს ქალაქის ქუჩები, სველი წესით;
- პარლამენტმა შეიმუშაოს საწარმოების მხრიდან დარღვევების გამოვლენისა და აღმოფხვრის ეფექტიანი მექანიზმი;
- სამოქალაქო აქტივისტებმა მოსახლეობისთვის გაააქტიურონ შემეცნებითი და საგანმანათლებლო საქმიანობა, ეკოლოგიის მიმართულებით;
- საწარმოებმა აიღონ სოციალური პასუხისმგებლობა მოსახლეობისა და ქალაქის წინაშე;
- ადგილობრივმა მთავრობამ მეტი პასუხისმგებლობა აიღოს ქალაქში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მხრივ არსებულ მძიმე მდგომარეობაზე და გადადგას კონკრეტული/ქმედითი ნაბიჯი, პრობლემის გადასაჭრელად.

2. სიღრმისეული ინტერვიუები ეკო აქტივისტებთან

[მონაცემების ანალიზი]

პროექტმა – „რუსთავში მსხვილი საწარმოების სიახლოვეს მცხოვრები ქალების საჭიროებების კვლევა“ მოიცავა შემდეგი საკითხები: **საწარმოების მიერ გარემოს დაბინძურების შედეგად გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირება, ჯანმრთელობის თემა და, შესაბამისად, იმ სოციალური პრობლემების გამოკვეთა, რომელთა წინაშეც დგანან საწარმოების სიახლოვეს მცხოვრები ქალები.**

პროექტის პირველ ეტაპზე კვლევის თვისებრივ მეთოდზე დაყრდნობით ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ეკოაქტივისტების ჯგუფ „გავიგუდეს“ წევრებთან. თითოეული მათგანი ჩართულია სამოქალაქო აქტივიზმში და მონაწილეობას სხვადასხვა

აქცია-პერფორმანსში, რუსთავში საწარმოების მიერ ჰაერის დაბინძურებისა და გარემოზე მიყენებული ზიანის წინააღმდეგ.

სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 40-45 წუთი. სამივე აქტივისტს თავიდანვე განემარტა კვლევის მიზანი და ამოცანები, თანხმობის შემდეგ კი აუდიოფაილის სახით ჩაიწერა ინტერვიუ და საბოლოო ეტაპზე გაანალიზდა გაშიფრული ტრანსკრიპტების შედეგად მიღებული მონაცემები.

ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა საწარმოების პასუხისმგებლობა რუსთავში არსებულ ჰაერის დაბინძურების პრობლემაზე. ეკოაქტივისტები აცხადებენ, რომ თვალშისაცემია

ის უარყოფითი გავლენა, რომელსაც ახდენს საწარმოების საქმიანობა მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების ჯანმრთელობაზე. ამ მიმართულებით რესპონდენტებმა ისაუბრეს ონკოლოგიური და რესპირატორული სისტემების ქრონიკული დაავადებების მატებაზე. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

„საწარმოების გაუმართავი აღჭურვილობითა და ტექნოლოგიებით იმდენად დაბინძურდა ჰაერი, რომ ეს უკვე ადამიანების იმუნურ სისტემაზეც აისახა. დაბინძურებულ გარემოში ადამიანის ორგანიზმს არ შესწევს უნარი, იბრძოლოს სხვადასხვა ვირუსის თუ დაავადებების წინააღმდეგ. შესაბამისად, იქნება ეს კიბო თუ სხვა ტიპის ონკოლოგიური პრობლემები, არაჯანსაღ გარემოში მცხოვრებ ადამიანს უფრო მარტივად მოერევა“.

ინტერვიუს პროცესში განსაკუთრებით მოწვევლად ჯგუფად გამოიკვეთა საწარმოების სიახლოვეს მცხოვრები ქალები. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ის თავადვე ცხოვრობდა საწარმოსთან ახლოს და პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით ხაზი გაუსვა თავის დასახლებაში მცხოვრები ქალების რთულ მდგომარეობას, ონკოლოგიური დაავადებების კუთხით.

„დღეს ისე ხშირად მესმის ქალებისგან მკერდის კიბოს, ფილტვის კიბოს ან სხვადასხვა ონკოლოგიური პრობლემის დიაგნოზი, – რომ მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს უკვე იქცა ჩვეულებრივ შემთხვევად. ეს ქალები

კი თავიანთ სავალალო მდგომარეობას, ჯანმრთელობის კუთხით, პირდაპირ უკავშირებენ ქარხნებს.

დადებით ტენდენციად კი შემიძლია დავასახელო მოსახლეობის მხრიდან „გავიგუდესთვის“ მოწოდებული ფოტო-ვიდეომასალა, რომელზეც ასახულია საწარმოების ის გამონაბოლქვი, რომელიც სულ უფრო მეტად აბინძურებს გარემოს და ზიანს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.“

„ქარხნებთან ახლოს ცხოვრება ძალიან რთულია, რადგან მათი გამონაბოლქვის სუნთქვა გვიწევს, რაც პირველ რიგში ანადგურებს ჩვენს ფილტვებს და იმუნიტეტს, შემდგომში კი იწვევს ბევრ დაავადებას ასევე, აბინძურებს იმ გარემოს, სადაც ვცხოვრობთ.“

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისაუბრა ყოველდღიურ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დგანან საწარმოების მიმდებარედ მცხოვრები ადამიანები. როგორც მან აღნიშნა, საწარმოების საზიანო საქმიანობა იმდენად შეიჭრა მოსახლეობის ცხოვრებაში, რომ **დღეს ისინი ფანჯრების გაღებასაც ერიდებიან დაბინძურებული ჰაერის შიშით.** მიუხედავად იმისა, რომ ქალები თავად არიან მძიმე მდგომარეობაში, გამოიკვეთა, რომ მოსახლეობის მთავარ საზრუნავს მაინც ბავშვები წარმოდგენენ. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დედები ხშირად ერიდებიან ბავშვების გარეთ გაყვანას და მათი ავადმყოფობა უფრო ადარდებთ, ვიდრე საკუთარი. აქვე გამოიკვეთა ეკონომიკურ სიდუხჭირესთან დაკავშირებული

გამოწვევები და ის დაზიანებული პრაქტიკაც, რომლის წინაშეც არიან ქალები.

„რუსთავეში ბევრ ქალს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ შვილები თუნდაც ზაფხულში მოარიდოს ქალაქის ბინძურ ჰაერს და გაუშვას დასასვენებლად მთაში ან ზღვაზე. ისინი ეკონომიკური პრობლემების გამო, რისკავენ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ბავშვების ჯანმრთელობითაც.“

მოსახლეობის ეკონომიკურ სიდუხჭირეს უკავშირებს კიდევ ერთი რესპონდენტი **ექიმებთან ვიზიტის ნაკლებობას, ქალების მხრიდან.** შესაბამისად, ქალების მნიშვნელოვან პრობლემად იდენტიფიცირდა დაავადებათა კონტროლის მექანიზმის არარსებობაც. ამ მიმართულებით გამოიკვეთა ორი ძირითადი საკითხი – ერთი მხრივ, ფინანსური რესურსის უქონლობა, თუნდაც ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტის არსებობისას და მეორე მხრივ, ის შიში, რომელიც თან ახლავს მძიმე დიაგნოზის მოლოდინს.

„ქალებს არ აქვთ საშუალება არათუ რეგულარული, არამედ მწვავედ საჭირო შემთხვევებშიც კი გინეკოლოგებთან ან სხვა პროფილის ექიმებთან ვიზიტებისა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ აქვთ დაზღვევა, რაც ნაწილობრივ მაინც ფარავს მკურნალობის ხარჯებს, საკმაოდ ძვირადღირებულია მედიკამენტები, რომლის ყიდვის შესაძლებლობაც არ აქვთ. მძიმე პრობლემად მესახება, ასევე, ფსიქოლოგიური მდგომარეობაც. იმდენად ხშირად გვესმის მეზობლებისა თუ ნათესავებისგან

კიბოს შემთხვევები, ქალებს უკვე აქვთ შიში, რომ თავადაც იქნებიან ერთ დღეს ამ დიაგნოზის გაგების საფრთხის წინაშე.“

აღნიშნული გამოწვევების იდენტიფიცირების ფონზე ეკოაქტივისტები ასახელებენ იმ მთავარ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც, მათი აზრით, მნიშვნელოვნად შემცირდება საწარმოებისგან მიყენებული ზიანი გარემოსა და ადამიანებზე. მნიშვნელოვანია, ისიც რომ თითოეული რესპონდენტი იაზრებს საწარმოების საქმიანობის ეკონომიკურ მნიშვნელობას მოსახლეობისა და ქალაქისთვის. შესაბამისად, მათი რეკომენდაციები წარმოადგენს არა საწარმოების დახურვა-გაუქმების მოთხოვნას, არამედ გარემოს დამცავი აღჭურვილობების – ფილტრაციის სისტემის მოწესრიგებას. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა, აგრეთვე, საწარმოების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის აღების მნიშვნელობასა და ქალაქის განვითარებაში აქტიურად ჩართვის აუცილებლობას. რესპონდენტებმა ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს სამთავრობო სტრუქტურებისა და სამოქალაქო აქტივისტების ჯგუფების კომპლექსური მუშაობა, გარემოსდაცვითი რეგულაციების დროულად დახვეწისა და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. არსებულ ვითარებაში კი მნიშვნელოვან ფაქტორად გამოყოფენ როგორც გრძელვადიან, ასევე ყოველდღიურ გარემოსდაცვით საქმიანობას.



3. სიღრმისეული ინტერვიუები რუსთავის საწარმოების სიახლოვეს მცხოვრებ ქალებთან

[მონაცემების ანალიზი]

კვლევის მეორე, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა სიღრმისეული ინტერვიუების მომზადება რუსთავის საწარმოების სიახლოვეს მცხოვრებ ქალებთან. ინტერვიუები პირდაპირი წესით ჩატარდა რუსთავში მსხვილი საწარმოების მიმდებარედ, ნოდარ დუმბაძისა და დავით გარეჯის ქუჩების 5 მცხოვრებთან, ხოლო 12 ინტერვიუ ჩაიწერა ონლაინ ფორმატში, COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის გამო.

ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა სოციალური ზემოქმედების მნიშვნელოვანი ასპექტები. შესაბამისად, გაანალიზდა საწარმოების საქმიანობის ზეგავლენა მოსახლეობასა და გარემოზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი კომპონენტია, ერთი მხრივ, ზეგავლენის კვლევა ადგილობრივ მოსახლეობაზე, როგორც სოციალურ სტრუქტურაზე და მეორე მხრივ, საფრთხისა და რისკის შეფასება გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით. რესპონდენტების სრული უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებდა, აგრეთვე, პოლიტიკური აქტორების მნიშვნელობაზე საწარმოთა საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად. ინტერვიუების პროცესში მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა რესპონდენტთა აქცენტები იმ ზიანზე, რომელსაც, მათივე შეფასებით, საწარმოთა საქმიანობა აყენებს ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

„ჰაერის უკმარისობა მაქვს. ვერ ვსუნთქავ თავისუფლად. მეწვის თვალები და ყელი. არანაირი ქრონიკული დაავადება არ მქონდა, მაგრამ ახლა ძლიერი ალერგიაც დამემატა. როგორც კი გავალ ამ ქალაქიდან ერთი კვირით მაინც, ეგრევე ამოვისუნთქავ, ეს ჰაერი მკლავს მე.“

„ჰაერის დაბინძურება დაავადებებს იწვევს, ამ ქალაქში ჯანმრთელი ადამიანის პოვნა, უკვე რთულია. ყველას ახველებს, ალერგია აქვს, ჰაერის უკმარისობა – ბავშვებიც აღარ არიან ჯანმრთელები.“


კვლევის ფარგლებში „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისგან“ გამოთხოვილ იქნა სტატისტიკა ონკოლოგიური დაავადებების შესახებ ქვემო ქართლის რეგიონში. 2019 წელს რუსთავში დაფიქსირდა 247 დარეგისტრირებული შემთხვევა, სხვადასხვა ტიპის ავთვისებიანი სიმსივნისა. აღრიცხული 247 პაციენტიდან 140 არის ქალი, ხოლო 107 – მამაკაცი. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ავთვისებიან სიმსივნეთა რაოდენობამ 2019 წელს იკლო გასულ ორი წელთან შედარებით. 2017 წელს რუსთავში დაფიქსირდა 307, ხოლო 2018 წელს 305 შემთხვევა. **ჯამში, 2019 წელს ქვემო ქართლის რეგიონში ავთვისებიან სიმსივნეთა 849 დიაგნოზიდან**



ყველაზე მეტი შემთხვევა აღინიშნა რუსთავეში. ქალებს შორის ყველაზე გავრცელებული დიაგნოზი აღმოჩნდა სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე [40 შემთხვევა], ხოლო მამაკაცებს შორის – ბრონქებისა და ფილტვის ავთვისებიანი სიმსივნე [14 შემთხვევა]. „დაავადებათა კონტ-

როლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ მოწოდებულ სტატისტიკაში არ ფიქსირდება

2020 წლის მონაცემები. როგორც უწყებაში განმარტავენ, მიმდინარეობს მონაცემთა ბაზების შევსება/კორექტირება.



რესპონდენტთა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა დედობის სტატუსს, რამაც გამოკვეთა შვილების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შიში. ისინი დარდობენ შვილების გაურკვეველ მომავალსა და ჯანმრთელობის იმ პრობლემებზე, რომლებსაც უქმნის, მათი შეფასებით, საწარმოთა საქმიანობა.

„გვეუბნებიან, დიდი ხალხისაა ეს ყველა საწარმო და არაფერს აზრი არ აქვსო. ჩვენ კი დავიხრჩვით ამ მტვერში. ბავშვებს იმუნიტეტი აღარ აქვთ, ხშირად ცივდებიან. მე, პირადად, იმედი არ მაქვს. იქნებ, მოგვხედონ.“

„მე დედა ვარ და განსაკუთრებით ვნერვიულობ ჩემს ორ შვილზე. ისინი გამონაბოლქვში იზრდებიან. საწარმოების შედეგად დაბინძურებული ჰაერის შედეგია, რომ ჩემს შვილს უკვე შეექმნა სუნთქვის პრობ-

ლემები. ვდარდობ ბავშვების მომავალზე ამ გაჭვარტლულ ქალაქში.“

რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს, აგრეთვე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და პოლიტიკური აქტორების პასუხისმგებლობაზე – ცვლილებების საფუძველზე საწარმოთა საქმიანობის გაკონტროლის მექანიზმის შემუშავებასა და აღსრულებაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ პოზიტიური ცვლილებების ერთადერთ გარანტად სწორედ სახელმწიფო ესახებათ და აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით პოლიტიკური სტრუქტურების მხრიდან საწარმოთა საქმიანობის კონტროლის მექანიზმი არაეფექტიანია. შესაბამისად, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემაც, რაც გამოიხატება სამთავრობო პირების არასათანადო კომუნიკაციაში მოსახლეობასთან, გადაწყვეტილების

მიღების პროცესში ჩართულობის კუთხით. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსახლეობა ძალზე მწირ ინფორმაციას ფლობს საწარმოთა საქმიანობის შესახებ. საწარმოთა მფლობელების, მეწილეებისა თუ წარმოებული პროდუქციის შესახებ ინფორმაცია ხშირად ხელმისაწვდომი არ არის ადგილობრივი მოსახლეობისთვის. სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა დაასახელეს რესპონდენტებმა უნდობლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, საწარმოთა საქმიანობისადმი.

„საწარმოები რუსთავში ერთი ჩაკეტილი სივრცეა. მოსახლეობა ვიწამლებით მათი გამონაბოლქვით და ისიც კი არ ვიცით, რას აწარმოებენ. სამწუხაროდ, მთავრობას მხოლოდ არჩევნების წინ ვახსენდებით. სხვა დროს ყოველთვის მოსახლეობის გვერდის ავლით იღებენ გადაწყვეტილებას, ახალი საწარმოს მშენებლობის შესახებ.“

„მოსახლეობას გვაქვს ეჭვი, რომ საწარმოთა მფლობელების რიგებში საკმაოდ გავლენიანი პირები არიან, თუმცა ეს მხოლოდ ეჭვებია და არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს იმ პირების შესახებ, ვინც „მკვლელი საწარმოების“ უკან დგას.“

რესპონდენტების მხრიდან მნიშვნელოვან პრობლემად იდენტიფიცირდება, აგრეთვე, საწარმოების მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის არარსებობა. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა სრული უნდობლობა საწარმოთა მმართველი გუნდის მიმართ. რესპონდენტები, გარკვეულწილად, აქცენტს აკეთებენ

პასუხისმგებლობის აღების ინდივიდუალურ ასპექტებზე, საწარმოთა მფლობელების მხრიდან და აკრიტიკებენ მათ პოლიტიკას ქალაქისა თუ მოსახლეობის მიმართ.

„ეს, მინიმუმ, სამოქალაქო უპასუხისმგებლობაა, რასაც სჩადიან საწარმოთა მფლობელები რუსთავისა და მოსახლეობის წინაშე. თუ სახელისუფლებო რგოლები ვერ ახორციელებენ სათანადო კონტროლს, ხომ შეუძლიათ საწარმოს მმართველებს რაიმე სახის ზომების მიღება იმ ზიანის შესამცირებლად, რასაც გარემოს აყენებენ. სამწუხაროდ, არ მახსენდება არც ერთი შემთხვევა, როდესაც მოსახლეობის პრობლემებით დაინტერესებულ იყო რომელიმე მათგანი.“

„მანდ ვინც ხელმძღვანელები არიან, ათი ათასობით აქვთ ხელფასები. მუშებს, რეალურად, კაპიკებს უხდიან და თან ისე ამუშავებენ, რომ ჯანმრთელობას სრულად ართმევენ. ხეირობენ თვითონ მაქსიმალურად და ამ ფონზე ჩვენ, ხალხს, არაფერს გვიკეთებენ. არც ფილტრები ჩანს არსად და არც მათი დარგული ხეები. ის ვერ მოიფიქრეს, რომ მაგათი აქოთებული ტრუბების წინ მაინც დარგონ ხეები და ცოტა შეაკავონ თავიანთი საწარმოს ბოლი.“

ინტერვიუების ნაწილმა ჩაიარა COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის ფონზე, რამაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა იმ პრობლემათა სიმწვავე, რომელთაც საწარმოთა საქმიანობა ქმნის რუსთავში. რესპონდენტთა უმრავლესობისთვის კორონავირუსზე საშიში მტერი საწარმოები აღმოჩნდა

და, მათივე შეფასებით, სწორედ პანდემიამ გამოკვეთა მათი სახით მთავარი აქტორი ჰაერის დაბინძურების კუთხით რუსთავში. ორმა რესპონდენტმა შეადარა ჰაერის დაბინძურების დონე თბილისსა და რუსთავში და მიუთითა, რომ სწორედ პანდემიის პროცესში გამოაშკარავდა, რომ ჰაერის დაბინძურების მხრივ დედაქალაქისგან განსხვავებით რუსთავში არანაირი სასიკეთო ცვლილება არ ყოფილა.

„ტრანსპორტი, ხომ ახლა თითქმის არ დადის, პანდემიის გამო, მიდით ნახეთ, ჰაერის ხარისხი როგორია?! საერთოდ არაფერი შეცვლილა. ეს იმიტომ, რომ ჩვენთან მთავარი დამაბინძურებლები საწარმოები არიან. თბილისში თუ მანქანებია ჰაერის დაბინძურების წყარო, აქ ეს საწარმოებია, რომლებიც წამლავენ ყველაფერს.“

„თბილისში ჩემი ახლობლები ამბობენ, რომ პანდემიის ფონზე, მას შემდეგ, რაც ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდა, მკვეთრად გაუმჯობესდა ჰაერის ხარისხი. რუსთავში კი, ამ მხრივ, არანაირი ცვლილება არ ყოფილა. აქ ისევ ისე უფილტროდ მუშაობენ საწარმოები და სწორედ მათი გამონაბოლქვით ბინძურდება ჰაერი. ეს კარგად გამოჩნდა ტრანსპორტის შეჩერების ფონზე.“

რესპონდენტებმა საწარმოთა საქმიანობის უარყოფით ასპექტად გამოკვეთეს, აგრეთვე, პროფესიული დაავადებები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ მხრივ არ წარმოებს ეფექტიანი მონიტორინგი და შესაბამისად, არ არსებობს პრო-

ფესიული დაავადებების იდენტიფიკაციის ქმედითი პრაქტიკა. ორმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ოჯახის წევრები, რომლებიც დასაქმებული არიან რუსთავის საწარმოებში, სამსახურს თავს ვერ ანებებენ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ვინაიდან მათი ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ასევე ერთ-ერთმა რესპონდენტმა გამოკვეთა პროფესიული დაავადების კუთხით სახელმწიფოს არაეფექტიანი პოლიტიკა, დაავადებების დადგენისა და შესაბამისი პენსიის დანიშვნის მიმართულებით.

„ბიძაჩემი, რომელიც უამრავი წელია მუშაობს საწარმოში, საკმაოდ მძიმე დაავადების დიაგნოზით აგრძელებს სამსახურს. არავის მოუკითხავს მისი მდგომარეობა. სხვა არჩევანი არ აქვს. სახელმწიფო მას არაფრით ეხმარება და იძულებულია, იმუშაოს.“

„ჩემი ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, უმძიმესი დიაგნოზით აგრძელებს საწარმოში მუშაობას. არც მის უფროსებს უკითხავთ რამე და არც ჯანდაცვის სამინისტრო დაინტერესებულა მისი მდგომარეობით.“

კვლევის პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორად განისაზღვრა გენდერული კომპონენტის შესწავლა. საწარმოების საქმიანობა მძიმედ აისახება საზოგადოების ყველა ფენაზე, თუმცა მეტად ზარალდებიან ქალები, როგორც მოწყვლადი ჯგუფი. ორმაგი მოწყვლადობა მძიმე სოციალურ პრობლემად კლასიფიცირდება დროთა განმავლობაში. რესპონდენტები

აღნიშნავდნენ, რომ ეკონომიკური სიდუხჭირე და დროის უქონლობა, საოჯახო საქმეების გამო, იწვევს მათ დემოტივაციას, ეკოაქტივიზმში ჩართვის კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ქალებს საჭირო ფინანსების უქონლობის გამო, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ჯანდაცვის სერვისებზე და ხშირად ვერ ახერხებენ ჯანმრთელობის პერიოდულ მონიტორინგს.

„იმდენი საქმე მაქვს ოჯახში, ზოგჯერ დროც კი არ მაქვს, დავფიქრდე საკუთარ ჯანმრთელობის პრობლემაზე. თეორიულად ვხვდები, რომ საწარმოს გამონაბოლქვის შედეგია ჩემი სუნთქვითი პრობლემები, თუმცა არ მაქვს ფინანსები ექიმთან მისასვლელად. წლიდან წლამდე ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება, მაგრამ ყურდლებას ვერ ვაქცევ ჩემს თავს.“

„უპირველეს ყოვლისა ვარ დედა და ჩემს შვილებზე უფრო ვღელავ, ვიდრე საკუთარ თავზე. მძიმე ონკოლოგიური პრობლემა მაქვს და სულ რამდენჯერმე მოვახერხე ექიმთან მისვლა, ფინანსური სახსრების არარსებობის გამო. გაანალიზებული მაქვს, რომ ის ზიანი, რასაც საწარმოები გარემოს აყენებენ მძიმედ აისახება ჩემს ჯანმრთელობაზე, თუმცა აქტივიზმისთვის დროც კი არ მაქვს.“

რესპონდენტებმა განიხილეს მათი ქალაქისთვის საწარმოთა საქმიანობის დადებითი და უარყოფითი ასპექტები. სასარგებლო ფაქტორად დაასახელეს დასაქმების შესაძლებლობა, ხოლო ნეგატიურ მხარედ მოიხსენიეს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის მიყენებული

ზიანი და გარემოს დაბინძურება. სამმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მძიმე ეკონომიკური ფონის გამო, მოსახლეობა იძულებულია, გარკვეულწილად თვალი დახუჭოს საწარმოთა საქმიანობის მავნე პრაქტიკაზე, ვინაიდან მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ. ასევე, კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსახლეობის არაინფორმირებულობა საწარმოთა საქმიანობის მნიშვნელოვან დეტალებზე იწვევს მათ ნაკლებ ჩართულობას სამოქალაქო აქტივიზმში, ფინანსური შემოსავალი კი ხშირ შემთხვევაში ერთადერთი მოტივატორია, რის გამოც ეგუებიან საწარმოთა საქმიანობით მიყენებულ ზიანს საცხოვრებელ გარემოსა თუ ჯანმრთელობაზე. ყოველივე ეს მეტად მოწყვლადს ხდის რუსთავის მოსახლეობას სოციალური თუ საზოგადოებრივი პრობლემების აღმოფხვრის კუთხით. ასევე, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის საწარმო დასაქმების ერთადერთი შესაძლებლობაა და ალტერნატივის არარსებობა კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის ადამიანებს ქარხნების მფლობელებზე.

„ქარხნები სარგებლობენ იმით, რომ ხალხს სამსახურები არ აქვს და იმ ორი კაპიკის გამო, რასაც უხდიან, ყველას აჩუმებენ.“

„როცა შენი ოჯახის ერთადერთ შემოსავალს, საწარმოში მიღებული მცირე ხელფასი წარმოადგენს, ძნელია, იბრძოლო ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოსთვის. შიმშილით სიკვდილი არავის უნდა, სწორედ ამიტომ ვიტანთ საწარმოთა მავნე გავლენას ქალაქზე.“

4. საწარმოების სოციალური პასუხისმგებლობა

სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის ნებაყოფლობითი არჩევანი, გაითვალისწინოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები და დადებითი გავლენა მოახდინოს თავის სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობა მომხმარებელზე, თანამშრომლებზე, ფართო საზოგადოებასა და გარემოზე, რომელშიც უწყვეტ საქმიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღინიშნება ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევა და კომპანიის საქმიანობა მიიჩნევა გარემოსა და ადამიანების უხეშ ექსპლუატაციად.⁸

რუსთავში არსებული საწარმოების, როგორცაა: „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, „ჯეოსთილი“ და „რუსთავის აზოტი“ სოციალური პასუხისმგებლობა, ძირითადად, შემოიფარგლება სხვადასხვა სახის საქველმოქმედო და სოციალურ-კულტურული ღონისძიების დაფინანსებით. კომპანია „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ აფინანსებს საგანმანათლებლო სფეროს და სკოლების რეკონსტრუქციას. ხოლო კომპანია „რუსთავის აზოტის“ ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულია, რომ, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნ-

ვა და უსაფრთხოების დაცვა. ამასთანავე, კომპანია პერიოდულად მართავს სხვადასხვა ტიპის სპორტულ და კულტურულ ღონისძიებასაც, კომპანია „რუსთავის აზოტი“ კი დასახელდა საქართველოში COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციად.

2019 წლის მარტში ეკოაქტივისტების ჯგუფის, „გავიგუდეს“ სამიზნე, გარემოს განსაკუთრებით დაზიანებების მოტივით, გახდა კომპანია „ჯეოსთილი“. გარეჯის ქუჩაზე, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სამოქალაქო აქტივისტებმა გააკრეს ბანერები წარწერით: **„ჯეოსთილი“ გაურბის სოციალურ პასუხისმგებლობას**, **„ჩვენი ჯანმრთელობა მათი შემოსავალია“**.⁹

ეკოაქტივისტების ჯგუფ „გავიგუდეს“ წევრები მუდმივ რეჟიმში მიუთითებენ იმ ზიანზე, რომელსაც, მათივე შეფასებით, საწარმოთა საქმიანობა აყენებს გარემოს და საწარმოთა მფლობელებს მოუწოდებენ, იმუშაონ, გარემოს დაცვის კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტებით – არ დააზიანონ ადამიანების ჯანმრთელობა და იზრუნონ გარემოზე, სადაც მუშაობენ. რუსთავის მერის, ირაკლი ტაბალუას შეფასებით, **„გასამკაცრებელია მარე-**

⁸ Vanclay, F. 2015 Social Impact Assessment: Guidance for assessing and managing the social impacts of projects. International Association for Impact Assessment http://www.iaia.org/uploads/pdf/SIA_Guidance_Document_IAIA.pdf

⁹ „რადიო თავისუფლება“ „ჯეოსთილს“ ახალი საწარმო სჭირდება, რუსთავის საკრებულოს კი ეკოლოგიური უსაფრთხოება“ 25 მარტი 2019 – ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/7upfkog>



გულირებელი კანონმდებლობა თუნ-
დაც იმ თვალსაზრისით, რომ საწარ-
მოების გარემოზე ზემოქმედების
ტექნიკური ანგარიშები შესაბამისმა
უწყებამ არა წელიწადში ერთხელ,
არამედ მეტი სიხშირით მიიღოს.¹⁰
იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოე-
ბი ხშირად უარყოფენ ეკოაქტივისტე-
ბის ბრალდებებს მათ წინააღმდეგ,
აღნიშნული კვლევის ფარგლებში

მომზადდა ფოტომასალა, რათა
თვალსაჩინო ყოფილიყო რუსთავეში
მოქმედი საწარმოების სამუშაო გა-
რემოზე „ზრუნვის“ ფაქტები. გამო-
იკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში
საწარმოთა ყურადღების მიღმა
დარჩენილი გარემოს გამწვანების
საკითხი და მეტად მძიმე ვითარებაა
გზის საფარის მოწესრიგებისა და
ნარჩენების გატანის მხრივაც.



საწარმო „ჯეოსთილი“ – ადმინისტრაციულ შენობასთან
არსებული მოუწესრიგებელი გზის საფარი



საწარმო „ჯეოსთილის“ – ტერიტორიაზე თვალსაჩინოა
მოუწესრიგებელი გარემო და გამწვანების საჭიროება

¹⁰ „რადიო თავისუფლება“ „გამოსაცდელი ვადა „ჯეოსთილისთვის“, 16 მაისი 2019-
ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/XuphLrm>





„ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია“ – გარემოს მოწესრიგებისა და გამწვანების საჭიროება აქაც გამოიკვეთა

რუსთავში, „ჯეოსთილის“ ქარხანასთან, საზოგადოებრივი მოძრაობის, „გავიგუდეთ“ აქტივისტებმა და მოქალაქეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების თქმით, „ჯეოსთილი“ ფილტრების გარეშე მუშაობს და ქალაქს მავნე გამონაბოლქვით აბინძურებს. **„დააყენე ფილტრები – გავიგუდეთ!“¹¹** – ამ შეძახილებით, აქციის მონაწილეები საწარმოს ხელმძღვანელობას ფილტრების დაყენებისა და გარემოს მავნე გამონაბოლქვით დაბინძურების შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ. აქ-

ციის ერთ-ერთი მონაწილე ნიკოლოზ მუსერიძე კი აღნიშნულ აქციასთან დაკავშირებით აცხადებდა:

„ჩვენ აქ ვცხოვრობთ და არსად წასვლას არ ვაპირებთ! დღეს კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ „ჯეოსთილის“ დირექტორს შევახსენოთ მისივე დაპირება, რომ ფილტრს ერთ თვეში დააყენებდა. ჩვენი მოთხოვნა ეხება არა მხოლოდ „ჯეოსთილს“ არამედ ქალაქში არსებულ სხვა დანარჩენ ქარხნებსაც, რომლებიც ფილტრების გარეშე მუშაობენ და გვწამლავენ“



¹¹ „ინტერპრესნიუსი – რუსთავის „ჯეოსთილის“ ქარხანასთან მოძრაობამ „გავიგუდეთ“ აქცია გამართა“, 7 ივლისი 2019-ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/SupJoIq>

კვლევა ცხადყოფს, რომ ამჟამად საწარმოების მიერ გარემოსა და მოსახლეობაზე მიყენებული ზიანი მრავალმხრივია, საწარმოთა სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი კი უმრავლეს შემთხვევაში პრაქტიკაში არ მოიცავს ღირსეული შრომითი პირობების შექმნას და მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილებას, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის კუთხით. რესპონდენტებმა კვლევის ფარგლებში პროფესიული დაავადებების გახშირება სწორედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დაასახელეს.

საერთაშორისო სტანდარტების უბეში დარღვევა შეინიშნება მოსახლეობის ინფორმირებულობის მხრივაც, საწარმოთა საქმიანობის შესახებ. არ არსებობს ეფექტური დიალოგი სახელისუფლებო რგოლსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, გარემოს დაცვით საკითხებსა და საწარმოთა მიერ მიყენებული ზარალის შემცირების კუთხით. შესაბამისად, მოსახლეობას არ აქვს მოლოდინი, რომ სამომავლოდ ვითარება გაუმჯობესდება.

5. სახელმწიფო უწყებების მიერ საწარმოთა მუშაობაში აღმოჩენილი დარღვევები

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2019 წლის მეორე ნახევარში ქ. რუსთავში განთავსებული მსხვილი საწარმოების კომპლექსური ინსპექტირება ჩაატარა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კვლევის ფარგლებში, ოფიციალური ინფორმაცია გამოვითხოვეთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. უწყებამ საწარმოების მონიტორინგისას გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა აღმოაჩინა შემდეგ საწარმოებში:

- **„ჯეოსთილი“** – სასამართლომ, 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით, ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და დააკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.
- **შპს „რუსელოისი“** – სასამართლომ, 2019 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით, ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 798 მუხლის პირველი ნაწილით, ასევე, ნარჩენების მართვის კოდექსის 45-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.
- **„რუსთავის აზოტი“** – სასამართლომ, 2019 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით, ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 792-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში და შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

- **„რუსთავის ფოლადი“** – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის დადგენილებით, შპს „რუსთავის ფოლადის“ მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა. აღნიშნული დადგენილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.
- ინსპექტირებისას ასევე გამოვლინდა წიაღით [მიწისქვეშა მტკნარი წყლით] უკანონოდ, სათანადო ლიცენზიის გარეშე სარგებლობის ფაქტი. ვინაიდან ფაქტი შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილია ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში.
- **შპს „თეთრი ქუდი“** – სასამართლომ, 2020 წლის 9 მარტის დადგენილებით, ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 797 მუხლით, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილით და 45-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დარღვევებისათვის. კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 7500 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის მიერ, კვლევის ფარგლებში, მოწოდებულ ინფორმაციაში ხაზგასმულია სამინისტროს სამომავლო გეგმების შესახებ და აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე უწყებაში წარდგენილია კანონპროექტები [„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ – საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“; „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე], ატმოსფერულ ჰაერში მავნე ანთროპოგენურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული სანქციების გასამკაცრებლად. აგრეთვე, დამატებითი მოთხოვნების დასაწესებლად იმ რეგულირების ობიექტების მიმართ, რომლებიც, საქმიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.

რაც შეეხება კონკრეტულ ღონისძიებებს, რუსთავში, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გამომწვევი მიზეზებისა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის No2-134 ბრძანებით, შეიქმნა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის დებულება.